საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020137084889721

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/7480 **28 / ოქტომბერი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2021 წლის 13 ოქტომბრის №10696/01 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტებით და სააგენტოში არსებული ინფორმაციით, მოიცავს, კობის ქვიშა-ხრეშის საბადოს და მასზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #10000156 (შპს“ხევი“) ლიცენზიის კონტურებს, ასევე წკერესა და ბედონის ანდეზიტ-დაციტის საბადოებს. საპროექტო არეალში ასევე ფიქსირდება კობის მინერალური წყლის და ნახშირმჟავა აირის #9 ჭაბურღილი (ლიც# 10002414 ფ/პ ეკატერინე ტატიშვილი), წყარო-ლიცენზია #1001555(სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი), წყარო (არალიცენზირებული), მიწისქვეშა მტკნარი წყლის ლიცენზიები #1000180 (შპს“გუდაური სქაი რეზორტი“), #1001556 (სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“) და მათი სანიტარიული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონები, რომელიც უნდა გადიოდეს გამოსავლიდან არანაკლებ 15 მეტრში.

ასევე საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს მინერალური წყლის ორი სავარაუდო ჭაბურღილი (იხ.დანართი).

დანართი Shp ფაილები

პატივისცემით,

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე